ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №74630

ნომერი: AR126397

თარიღი : 28.02.2012

გაცემის თარიღი : 09.03.2012

გაცნობის თარიღი : 13.03.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ერისთავი , N 4 , (ნაკვეთი 02/022) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავითი ნიქაბაძე პ/ნ 53001001231
- თბილისი თემქა XI მ/რ I კვ. კორ. 4 ბ. 42

ორგანიზაცია:
- შპს "ჯი ი სი" კოდი: 400010117

ნომენკლატურა :

- სასწრაფო დახმარების პუნქტი
- III კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: თ. კობახიძე
- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სასწრაფო დახმარების პუნქტი

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "ჯი ი სი"
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 53001001231

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: დავით ნიქაბაძე
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 400010117

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 31.08.2011
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 01/2607

თბილისის არქიტექტურის სამსახურის, თბილისის მერიის სსიპ–ის მიერ 2011 წლის 31 აგვისტოს #01/2607 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი (ნაძალადევი), ერისთავის ქ. #4–ში, (ნაკვ. #02/022)–ში, შ.პ.ს. ,,ჯი ი სი"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, არსებული #1/2 შენობა–ნაგებობის დემონტაჟის პროექტი და გაიცა #ნ/2737–1 მშენებლობის სანებართვო მოწმობა დემონტაჟზე, რომელიც ძალაში იყო 2011 წლის 20 ნოემბრის ჩათვლით. აღნიშნულ მისამართზე სამსახურის 29.11.2011 წლის #4843 ბრძანებით მოხდა დემონტაჟის ნებართვის ვადის გაგრძელება 2011 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით. აღნიშნულ მისამართზე სამსახურის 09.01.2012 წლის #86 ბრძანებით მოხდა დემონტაჟის ნებართვის ვადის გაგრძელება 2012 წლის 30 იანვრის ჩათვლით. სამსახურის 02.02.2012 წლის #401 ბრძანებით მოხდა დემონტაჟის ნებართვის ვადის გაგგრძელება 2012 წლის 29 თებერვლის ჩათვლით.

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში 2012 წლის 28 თებერვალს შემოვიდა შ.პ.ს. ,,ჯი ი სი"–ს დირექტორის დავით ნიქაბაძის #არ126397 ელექტრონული განცხადება, ელექტრონულად ატვირთული არსებული სიტუაციის ამსახველი ფერადი ფოტო მასალა და მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის კალენდარული გრაფიკი დარჩენილ სამუშაოებზე, რომლის საფუძველზეც განმცხადებელი ითხოვს დემონტაჟის ნებართვის ვადის გაგრძელებას.

სამსახურმა განიხილა აღნიშნული საკითხი და და გამომდინარე იქიდან, რომ განმცხადებლის მოთხოვნა და განცხადებაზე თანდართული დოკუმენტაცია აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57–ე დადგენილების #57–ე მუხლის მოთხოვნებს გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 63-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება თბილისის არქიტექტურის სამსახურის, 2011 წლის 31 აგვისტოს #01/2607 ბრძანებას და #ნ/2737–1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში, კერძოდ, ,,ნებართვა ძალაშია 2011წ. 20 ნოემბრის ჩათვლით" შეიცვალოს ,,ნებართვა ძალაშია 2012 წლის 29 მარტის ჩათვლით"
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას თბილისის არქიტექტურის სამსახურის, თბილისის მერიის სსიპ–ის 31.08.2011 წლის #01/2607 ბრძანებასა და #ნ/2737–1 მშენებლობის სანებართვო მოწმობასთან ერთად.

• მშენებლობა განხორციელდეს წარმოდგენილი კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

• ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.